შპს კავკასპაკ

ფინანსური ინფორმაცია

2019 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება....1
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება....2
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება....4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება....5

განმარტებითი შენიშვნები

1 შპს კავკასპაკ და მისი საქმიანობა....6
2 კომპანიის საოპერაციო გარემო....6
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა....7
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას....13
5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან....14
6 ძირითადი საშუალებები....15
7 მარაგები....16
8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები....16
9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები....16
10 ნასესხები თანხები....17
11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები....18
12 ამონაგები....18
13 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები....18
14 დისტრიბუციის ხარჯები....19
15 კაპიტალის მართვა....19
16 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები....19

შპს კავკასპაკ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	2,544	2,588	2,591
სხვა არამატერიალური აქტივი		75	75	53
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,619**	**2,663**	**2,644**
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	7	1,554	1,386	588
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,280	1,402	963
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	798	331	916
სულ მოკლევადიანი აქტივები		**4,632**	**3,119**	**2,467**
მთლიანი აქტივები		**7,251**	**5,782**	**5,111**
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი			-	-
გაუნაწილებელი მოგება		4,948	3,205	1,920
სულ კაპიტალი		**4,948**	**3,205**	**1,920**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	10	883	819	1,060
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**883**	**819**	**1,060**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	10	204	528	785
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,216	1,230	1,346
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,420**	**1,758**	**2,131**
სულ ვალდებულებები		**2,303**	**2,577**	**3,191**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**7,251**	**5,782**	**5,111**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე 5 დან 19 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

.

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2020 წლის 1 ოქტომბერს

_____

ამირან ცერცვაძე
დირექტორი

შპს კავკასპაკ
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ციფრები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	12	11,626	9,026
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(8,520)	(6,636)
მთლიანი მოგება		**3,106**	**2,390**
სხვა საოპერაციო შემოსავალი		85	165
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(711)	(488)
დისტრიბუციის ხარჯი	14	(618)	(470)
სხვა საოპერაციო წმინდა ზარალი		(49)	(91)
საოპერაციო მოგება		**1,813**	**1,506**
ფინანსური შემოსავალი		-	13
ფინანსური ხარჯი		(70)	(234)
მოგება დაბეგვრამდე		**1,743**	**1,285**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**1,743**	**1,285**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**1,743**	**1,285**

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	საწედებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	**-**	**3,205**	**3,205**
წლის მოგება	-	1,743	**1,743**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,743	**1,743**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**4,948**	**4,948**

შპს კავკასპაკ
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(ციფრები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	12,532	9,752
სხვა მიღებული თანხები	268	327
გადახდილი პროცენტი	(83)	(287)
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(11,661)	(9,721)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	**1,056**	**71**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(70)	(216)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	**(70)**	**(216)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის ძირის გადახდა	(521)	(432)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	**(521)**	**(432)**
ფულისა და ფულის ეკვივალენტების შემცირება	**465**	**(577)**
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	2	(8)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**331**	**916**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**798**	**331**

1 შპს კავკასპაკ და მისი საქმიანობა

ფინანსური ინფორმაცია (შემდეგში „ფინანსური ინფორმაცია“) მომზადებულია მე-3 შენიშვნაში მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიხედვით შესაბამისად შპს კავკასპაკ-ის (შემოდგომში „კომპანია“) 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კავკასპაკ დაარსდა 2011 წლის 28 ნოემბერს, საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით. კომპანია იურიდიულ პირად დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მინიჭებული აქვს საიდენთიფიკაციო ნომერი: 404919736.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას ფლობენ შემდეგი მეწილეები:

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ამირან ცერცვაძე	65%	65%
ტარიელ მახარაძე	35%	35%
სულ:	**100%**	**100%**

ძირითადი საქმიანობა. შპს კავკასპაკ ქართულ ბაზარზე 2011 წლიდან ფუნქციონირებს და მისი ძირითადი საქმიანობის სფერო ერთჯერადი შესაფუთი მასალების წარმოება.

რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, რუსთავი, დავით გარეჯის ქ. #30 და საქმიანობას ახორციელებს იმავე მისამართზე.

წარსადგენი ვალუტა. ფინანსური ინფორმაცია წარდგენილია ქართულ ლარში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, კომპანიის მიერ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს სტანდარტები) მიღების ფარგლებში, 35-ე პუნქტის „მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლა“ მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.
კომპანიას ასევე არ გამოუყენებია არაპრაქტიკულობასთან დაკავშირებული რაიმე ზოგადი გამონაკლისი მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის შესაბამისად.

შეფასების საფუძველი. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის საფუძველზე.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები, კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის (‘სებ’-ის) მიერ დადგენილი კურსით. შემოსულობები და ზარალი უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან, აღირიცხება მოცემული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრულ შემოსავალის ანგარიშგებაში როგორც, ‘წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან’.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები, რომლითაც მოხდა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების ლარში გადაანგარიშება, იყო შემდეგი: ამერიკული დოლარი (‘$’) 1 = 2.8677 და ევრო (‘€’) 1 = 3.2095 (2018წლის 31 დეკემბრისთვის:
$1 = 2.6766 და €1 = 3.0701;). ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დეპოზიტები , რომლებიც განთავსებულია ბანკებში 3-თვეზე მეტი ვადით კლასიფიცირდება როგორც სხვა მოკლევადიანი აქტივები. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანგარიმსწორებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად გარიგების ფასით აღიარდება. შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი იქმნება, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მისაღები თანხის მიღებას დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. თუ არსებობს ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

მარაგი. მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი დანახარჯების

საფუძველზე. მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების დანახარჯები მოიცავს მასალებსა და ნედლეულს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და ნებისმიერ დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

მარაგის გაუფასურებაზე შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღით. თუ მარაგი გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს დაუმონტაჟებელ მოწყობილობებსა და დაუმთავრებელ მშენებლობებს, რომლებიც მომავალში ძირითადი საშუალებების სახით იქნება გამოყენებული.

შემდგომი დანხარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო

დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ცვეთა. მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობასა ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:
სასარგებლო მომსახურების ვადის დიაპაზონი:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
შენობა-ნაგებობები	20-35
მანქანა-დანადგარები	10-15
ავტომობილები	7-10
სხვა	3-12

.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების „სხვა საოპერაციო წმინდა მოგებაში“.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია, და, ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით, პატენტებით, სავაჭრო ნიშნებით და ლიცენზიებით. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, პატენტები და სავაჭრო ნიშნები კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული

მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე.***დივიდენდები.*** დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 16).

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფოსგან მიღებული გრანტები რეალური ღირებულებით აღიარდება მოგება-ზარალში, როდესაც დასაბუთებული რწმუნება არსებობს, რომ კომპანია მიიღებს და შეასრულებს ყველა დაკავშირებულ პირობას. როდესაც გრანტი მიღებულია, მაგრამ კომპანიას ჯერ არ დაუკმაყოფილებია ყველა დაკავშირებული პირობა, ის აღიარდება ვალდებულებად (და აისახება გადავადებულ შემოსავალში, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში) და შემოსავალში გადავა მაშინ, როდესაც ყველა დაკავშირებული პირობა დაკმაყოფილდება. მიღებული სახელმწიფო გრანტები აისახება მოგება-ზარალში, 'სხვა საოპერაციო შემოსავალში'.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ინფორმაციაში ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ ი

ურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახდელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5 - 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთაც 20% ან მეტი აქვთ დღგ-ის გან გათავისუფლებული ბრუნვა.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.
ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება და აგრეთვე მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნების და დღგ-ს გარეშე.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან ამონაგები აღიარდება საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისას. თუ კომპანია ეთანხმება კონკრეტულ ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება, როდესაც საქონელი მომხმარებელს გადაეცემა აღნიშნულ დანიშნულების ადგილზე.

მომუშავეთა გასამრჯელოები. კომპანიის თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება თანამშრომლების მიერ დაკავშირებული მომსახურების გაწევის წელს.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთ გადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. ფინანსურ ინფორმაციაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივების მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოზე, სადაც გამოიყენება აქტივი. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორებები.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება. დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხები დამოკიდებულია კომპანიის მიერ კონკრეტული მომხარებლებისგან დავალიანებების ამოღებადობის შეფასებაზე. ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობა თუ გაუარესებულია ან ფაქტობრივი დეფოლტები შეფასებულზე უფრო მეტია, მაშინ ფაქტობრივი დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავებული იქნეს შეფასებულისაგან. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორული დავალიანება გაუფასურებულია, მიუხედავად იმისა ეს მნიშვნელოვანია თუ არა, ის ამ დებიტორულ დავალიანებას მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფს მიაკუთვნებს და ამ ჯგუფს კოლექტიურად შეაფასებს გაუფასურებაზე. გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასების მიზნებისათვის ფინანსურ აქტივებს აჯგუფებენ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მახასიათებლები შესაფერისია მსგავსი აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების

შეფასებისათვის, რადგან ისინი გვიჩვენებენ მოვალის უნარს, განახორციელოს შესაფასებელი აქტივების სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული ყველა გადახდა. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც შეფასებულია, რომ ინდივიდუალურად გაუფასურებული არ არის, კოლექტიურად შეფასდება მსგავსი ხანდაზმულობის დებიტორული დავალიანებების ამოღების კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისათვის ანარიცხები იქმნება კონკრეტული ხანდაზმულობის კატეგორიაში თანხების ამოღების წარსული გამოცდილების საფუძველზე. გაუფასურების ანარიცხის ოდენობა სენსიტიურია გამოყენებული კონკრეტული პროცენტებისადმი. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება შეფასებულისგან განსხვავდებოდეს, ასევე შესაძლებელია კომპანიის შეფასებების მომავალში შეცვლა, უარყოფითად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია საბოლოო შედეგზე ან მოლოდინზე, რისკთან დაკავშირებული ფაქტების გათვალისწინებით.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინფორმაცია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე მოამზადა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, მისი ოპერაციების მოგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე სიტუაციის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	ურთიერთობები	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ნასესხები თანხები	დირექტორი/დამფუძნებელი	0	302

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან:

	ურთიერთობები	2019
საპროცენტო ხარჯი	დირექტორი/დამფუძნებელი	66

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ანაზღაურება. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებს წარმოადგენენ დირექტორი, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს კომპანიის პარტნიორს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირების ანაზღაურება:

	2019
მოკლევადიანი სარგებელი:	
- ხელფასი და პრემია	58
სულ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირების ანაზღაურება	**58**

6 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავტომობილები	სხვა	სულ
თვითღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	202	388	2,589	245	33	**3,457**
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 1 იანვარს	-	(48)	(766)	(42)	(13)	**(869)**
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	**202**	**340**	**1,823**	**203**	**20**	**2,588**
შემენები	-	185	57	15	4	**261**
ცვეთის ხარჯი	-	(9)	(264)	(25)	(7)	**(305)**
საბალანსო ღირებულება 2019 წ. 31 დეკემბერს	**202**	**515**	**1,616**	**193**	**17**	**2,544**
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	202	573	2 646	260	37	**3,718**
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბერს	-	(57)	(1,030)	(67)	(20)	**(1,174)**
საბალანსო ღირებულება 2019 წ. 31 დეკემბერს	202	516	1,616	193	17	**2,544**

2019 წლის 31 დეკემბერს ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 2,544 ათასი ლარი (2019 წლის 1 იანვარი: 2,588 ათასი ლარი) სს საქართველოს ბანკისგან სესხის უზრუნველყოფის სახით იყო გამოყენებული (იხ. მე-10 შენიშვნა).

.

7 მარაგები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ნედლეული	714	**786**
მზა პროდუქცია	502	**364**
მანქანა-დანადგარის ნაწილები	179	**119**
სხვა	159	**117**
სულ მარაგები	**1,554**	**1,386**

პერიოდის განმავლობაში ხარჯის სახით აღიარებული მარაგის თვითღირებულება, რაც წარმოადგენს რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას, გახლდათ 8,508 ათასი ლარი.

2019 წლის 31 დეკემბერს მარაგები საბალანსო ღირებულებით 1,554 ათასი ლარი (2019 წლის 1 იანვარი: 1,386 ათასი ლარი) სს საქართველოს ბანკისგან სესხის უზრუნველყოფის სახით იყო გამოყენებული (იხ. მე-10 შენიშვნა).

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნა	2,030	1,332
სხვა ფინანსური მოთხოვნა	16	12
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	**2,046**	**1,344**
გადახდილი ავანსები	234	58
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნა	**2,280**	**1,402**

9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ფულადი სახსრები სალაროში	-	
მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	798	331
შეზღუდული ფული	-	
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**798**	**331**

10 ნასესხები თანხები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ნასესხები სახსრები დონომინირებული:		
ლარში	1,087	1,033
ევროში	0	303
აშშ დოლარში	0	11
	1,087	**1,347**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვაწვდის კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ცვლილებების დეტალებს. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები ის ვალდებულებებია, რომლისთვისაც ფულადი ნაკადები იყო, ან სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება კლასიფიცირებული კომპანიის ფულადი ნაკადების ან ფინანსური საქმიანობიდან ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

	2019
1 იანვრის მდგომარეობით	**1,347**
დამატებები წლის განმავლობაში	268
მოგებასა და ზარალზე დარიცხული წლის საპროცენტო დანახარჯი	72
პროცენტის გადახდები	(83)
ძირი თანხის დაფარვა	(520)
მოგებასა და ზარალზე დარიცხული საკურსო სხვაობა, წმინდა	3
31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,087**

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულება	1,025	990
სულ ფინანსური ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ამორტიზებული ღირებულებით	**1,025**	**990**
გადავადებული შემოსავალი დაკავშირებული გრანტთან	162	182
სხვა	29	41
მიღებული ავანსები		17
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**1,216**	**1,230**

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო გრანტის სახით 124 ათასი ლარი სესხის პროცენტის სახით. ხოლო გადავადებული შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული იყო გრანტთან ამორტიზირდება 10 წლის განმავლობაში ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად. მიმდინარე წლის შემოსავალი წარმოადგენს 23 ათასი ლარი.

12 ამონაგები

	2019
ამონაგები ადგილობრივი ბაზრიდან საქონელის რეალიზაციიდან	8,934
ამონაგები ექპორტზე საქონელის რეალიზაციიდან	2,692
სულ ამონაგები	**11,626**

13 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019
მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	357
მივლინების ხარჯები	55
ცვეთა და ამორტიზაცია	39
დაცვის მომსახურების დანახარჯები	32
საწვავის ხარჯი	12
ბანკის საკომისიო	12
კომუნალური დანახარჯები	11
სხვა	100
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**618**

14 დისტრიბუციის ხარჯები

	2019
მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	275
ექსპორტირების ხარჯები	341
საწვავის ხარჯი	37
იჯარის დანახარჯები	23
სხვა	35
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**711**

15 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანია მათი უნარის დაცვა რომ განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, უზრუნველყოს უკუგება მფლობელისთვის და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მართული კაპიტალის ოდენობა იყო 4,948 ათასი ლარი.

16 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვს ფინანსური ანგარიშგებების შესწორებას ან განმარტებებს.

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2020 წლის 1 ოქტომბერს

ამირან ცერცვაძე
დირექტორი